

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N2

2018 წლის 24 მაისი 15:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის (საბჭოს) თავმჯდომარე - მარიკა დარჩია

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - თინათინ ნიბლოშვილი

საბჭოს მდივანი - ირაკლი ზარქუა

საბჭოს წევრები:

ანა ლაშხი

ქეთევან ჯოხაძე

ქეთევან მამულაშვილი

ლევან არველაძე

ლევან დარახველიძე

ელეონორა კაპანაძე

გულია გოცირიძე

ნინელი ფუტყარაძე

გიგა ახვლედიანი

ნინო ბურძენიძე

ლილე ლიპარტელიანი

ელენე ოზაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მარიკა დარჩიამ სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც საბჭოს წევრების მიერ ერთხმად დამტკიცდა.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

მარიკა დარჩიამ საბჭოს სხდომაზე წარადგინა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი და სთხოვა სხდომაზე დამსწრეებს გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით.

სამოქმედო გეგმის განხილვისას საბჭოს წევრებმა: ირაკლი ზარქუამ, თინათინ ნიბლოშვილმა, ნინო ბურძენიძემ, ელეონორა კაპანაძემ გამოთქვეს აზრი. საბჭომ განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წწ სამოქმედო გეგმის დოკუმენტი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნული დოკუმენტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: სხდომის თავმჯდომარემ მარიკა დარჩიამ, საბჭოს წევრებმა ელეონორა კაპანაძემ და ნინო ბურძენიძემ. მათ წარადგინეს საბჭოს სამუშაო ჯგუფის წევრობის კანდიდატები და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის ფორმირების შესახებ.

სამუშაო ჯგუფი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შვიდი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ექვსი თანამშრომლით:

1. სოფიო სულაბერიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

2. ნინო ჩიმაკაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
3. მარიამ დეისაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
4. თათია ბარაქაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სამდივნოს მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
5. სოფიკო მამალაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სამდივნოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
6. მარგარიტა ხიდირბეგიშვილი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;
7. ქეთევან გოგელაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სამდივნოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე);
8. ნია რუსაძე -ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მერიის აპარატის სამდივნოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
9. თინა ბეგიაშვილი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მერიის აპარატის სამდივნოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
10. თამარ ჩხიკვაძე -ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
11. ლიკა ბურდული-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.
12. ცირა შალოშვილი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მერიის აპარატის სამდივნოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
13. ნანა აღლემაშვილი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

სხდომაზე საბჭოს წევრები ასევე შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებელი გენდერული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2018-2020 წწ დოკუმენტი განსახილველად გაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს;
- მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობების მიერ განხორციელდეს სხვადასხვა აქტივობები გენდერულ საკითხებთან მიმართებაში;
- დაიგეგმოს კონკრეტული აქტივობები გენდერული საბჭოს წევრების მიერ. კერძოდ, საინფორმაციო საშუალებებში (პრესა, რადიო, ტელევიზია) გენდერული ასპექტების გათვალისწინებით სხვადასხვა გადაცემებში მონაწილეობის მიღება;
- შემუშავდეს გენდერული თანასწორობის სამუშაო ჯგუფის სამუშაო აღწერილობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე: მარიკა დარჩია

საბჭოს მდივანი: ირაკლი ზარქუა